თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2245850

ნომერი: AR1349012

თარიღი : 13.10.2015

გაცემის თარიღი : 16.10.2015

გაცნობის თარიღი : 16.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ მდინარაძე პ/ნ 01024009459
- თბილისი ა.ცაგარელის ქ. N 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მომართა იოსებ მდინარაძემ 13/10/2015 წლის AR1349012 განცხადებით და მოითხოვა ამავე სამსახურის 02/10/2015 წლის #2212182

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №10-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.14.020.026), 23/09/2015 წლის #2202386 ბრძანებით, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. მოგვიანებით, 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ცაგარელის ქუჩა №10-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.14.020.026) შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლები უთითებენ, რომ 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, გამორჩენილია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის რეკვიზიტები.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებაში ნამდვილად იქნა დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და გამორჩენილია #2202386 ბრძანების რეკვიზიტები, რომლითაც მოხდა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და რომლის საფუძველზეც გაიცა შემდგომ მშენებლობის ნებართვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 59-ე მუხლების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს იოსებ მდინარაძის 13/10/2015 წლის AR1349012 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებაში და მიეთითოს სამსახურის მიერ შეთანხმებული სამშენებლო პროექტის რეკვიზიტები: ბრძანების #2202386; ბრძანების გამოცემის თარიღი: 23/09/2015;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/10/2015 წლის #2212182 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.